

„შუმის ჭერის“ ბარიერი საზოგადოებრივი აღიარების მქონე ქართველი
ქალის ცხოვრებაში

თამარ მეგრელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგია მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჟვანია, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ მეგრელიძე

22.06.2018

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ეხება საზოგადოებრივი აღიარების მქონე ქართველი ქალის პირადი კარიერის ანალიზს. ქალის წარმატებისათვის საჭირო პიროვნული უნარებისა და გარემო ფაქტორების, ასევე კარიერასთან მიმართებაში არსებული ბარიერების გაანალიზებას, რომლებსაც გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს.

ტექსტის მიზანია შეისწავლოს და აღწეროს კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული ბარიერები რესპონდენტების ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებმაც გაარღვიეს ე.წ. „შუშის ჭერის“ უხილავი ბარიერი, გადაინაცვლეს მაღალ პოზიციებზე და მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას.

კვლევის მეთოდი გულისხმობდა თვისებრივი ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ანალიზს, რომელიც საზოგადოებაში აღიარებისა და მაღალი სტატუსის მქონე ქალების ნარატიული თხრობის შნაარსობრივ შესწავლას მოაზრებდა. რესპონდენტები შეირჩა არაალბათური შერჩევის მეთოდით.

ნაშრომი განიხილავს, რომ საზოგადოების შეხედულებები ქალისა და მამაკაცის შესახებ სტერეოტიპული ხასიათისაა და უკავშირდება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. შესაბამისად ქალებს ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდებათ საზოგადოებაში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად. საზოგადოებრივად აღიარებული ქალის შემთხვევაში, კი ძალისხმევა გაცილებით მძიმე და შრომატევადია. მათ უწევთ ჯერ თავად გაუმკლავდნენ სოციალურ სივრცეში არსებულ დამოკიდებულებებს, შემდეგ კი საზოგადოების ცნობიერებაში შეიტანონ ცვლილებები აღნიშნული თვალსაზრისით. კვლევამ გამოავლინა, წარმატებული კარიერის გზაზე უამრავი ბარიერი არსებობს ქალის ცხოვრებაში. აღნიშნული ბარიერები უკავშირდება ტრადიციულ შეხედულებებს გენდერულ როლებთან დაკავშირებით, რომელიც მამაკაცებით დომინირებულ სფეროში მოღვაწე ქალებისთვის მეტად დამაბრკოლებელია. კვლევამ გაანალიზა „შუშის ჭერის“

ბარიერის დაძლევის მექანიზმები, რესპონდენტების პირად ცხოვრებაზე რეფლექსიის მეშვეობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შუშის ჭერი, ქართველი ქალი, გენდერული როლი, ლიდერობა, სოციალური სტატუსი, ბარიერი.

Abstract

The text of the abstract in English This study is an analysis of public recognition of Georgian women's personal careers. It also analyzed the individual skills and environmental factors that enable women's success, as well as the barriers to career maintenance that stem from gender stereotypes.

The purpose of the text is to study and describe the barriers related to career advancement based on the individual respondents who have surpassed the "glass ceiling" and obtained high positions and achieved some success.

The method of research consisted of qualitatively analyzing biographical narrative interviews. Respondents were selected using the non-poll selective method.

The study found that public opinion about women and men is stereotypical and affects almost all spheres of life. Consequently, women have to exert great work and effort to establish themselves in society. For publicly recognized women, the effort required is much more difficult and labor-intensive. They have to deal with the attitudes that exist in the social place and make changes in public consciousness. The study revealed the barrier to career success for women. The barriers are related to traditional beliefs about gender roles that are very ingrained in men working in a male-dominated society. The study analyzed the various mechanisms for overcoming the "glass ceiling" through the reflections on respondents' personal experiences.

Key Words: Glass Ceiling, Georgian woman, Gender role, Leadership, Social status, barrier.

მადლობა

პირველ რიგში მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ანა ჟვანიას, რომელიც მეხმარებოდა კვლევის ყველა ეტაპზე, მაძლევდა მნიშვნელოვან მითითებებსა და რჩევებს, დაწყებული თემის ჩამოყალიბებიდან, მთლიანი ნაშრომის დასრულებამდე.

ასევე დედაჩემს, მათა გოგიბერიძეს და ჩემს მეუღლეს, ლაშა საჯაიას, რომლებიც რთულ მომენტებში დიდ სტიმულს მაძლევდნენ და მეხმარებოდნენ ნაშრომის შექმნის პროცესში.

მადლობას ვუხდით ჩემს მეგობარს, დიანა წეროძეს და ასევე ჩემს მეუღლეს, რომლებიც მომეხმარნენ ინტერვიუების ტრანსკრიფტის ეტაპზე, რითიც ფასდაუდებელი დახმარება გამიწიეს.